ოთხშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 4 № 232

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 4 № 232

ფასი: თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე [illegible]

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73


## თანამოაზრენო,

**მასალისა და მუშა ხელის გაძვირებამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი გაზეთი. რადგან „საქართველოს“ არა აქვს არავითარი სუბსიდია, მისი არსებობა თქვენს ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებაზეა დამოკიდებული.**

## უკანასკნელი ცნობები

ქიევ-იდან მოსული ცნობებით საფრანგეთში რევოლუციური მოძრაობა.

დანიაში, ჰოლანდიაში და შვეიცარიაში მღელვარება იზრდება.

უკრაინაში გეტმანის მომხრეთა და სამოსტიინიკეთა შორის მღელვ რება იზრდება.

ბერლინში სრული სიწყნარეა.

ბოსფორის და დარდანელის ფორტები ფრანგებმა დაიჭირეს. გალიპოლის ნახევარ-კუნძული ინგლისელებს უკავიათ.

შეთანხმების სახელმწიფოებმა დეკლარაცია გამოსცეს რომლითაც რუსეთს აღდგენის საქმეში დახმარებას ჰპირდებიან.

ფრანგ-ინგლისელთა ელჩებმა ქ. იასაში უკრაინის ეროვნულ კავშირის წარმომადგენლები არ მიიღეს.

მოხალისეთა ჯარმა ბერდიანსკი და მარიუპოლი აიღო.

სევასტოპოლის ომში ბოლშევიკებს აუნაზღაურებელი ზარალი მოუვლიათ.

ქ. ფოთში ინგლისელთა ორი კრეისერი და გამანადგურებელი მივიდა. გამანადგურებელი ბათომს გაემგზავრა.

ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 ნოემბერს, სადილის 5 ს., ლანჩხუთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა იმავე საზოგადოების ბუხჰალტერი

ლონგინოზ ანდრიას ძე გვარჯალაძე

რომლის დაკრძალვა მოხდა 30 ნოემბერს ნაშუადღევის ორ საათზე იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში.

იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც-კი პირადად, დეპეშით თუ წერილობით თანაგრძნობა განუცხადა მას ძვირფასი მეუღლის

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანის

უდროოდ დაკარგვის გამო.

ქრისტეშობისთვის 3-ს ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გრიგოლ ივანეს ძე კიკოძე

რასაც გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობართ შვილები: ელენე, ილიკო, სილვია, ანეტა, სონა, მარო, გაბო და ქეთო კიკოძენი.

გამოსვენება საკუთარ ბინიდან გუნიბის ქ. № 41—კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. დაკრძალვა ოთხშაბათს, ქრისტეშობისთვის 4-ს, დილის 10 ს. 1—1919—1

მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფელ ნიგოზში გარდაიცვალა

ელისაბედ ირაკლის ასული ფავლენიშვილისა

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები—ილია, ვასილი, სოფიო, დარია და ეკატერინე; რძლები—ქეთევან და სოფიო, სიძე გიორგი ოდიშელიძე და შვილიშვილები. დაკრძალვა ს. ნიგოზში დღეს, 21 გიორგ. (ძვ. სტ.) ამავე დღეს იქნება გადახდილი პანაშვიდი წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 12 საათზე. (1—1916—1)

გერმანელ-კავკასიური

სავაჭრო ბანკი

გოლოვინის პროსპ. არამიანცის სახლი № 17.

იწყებს მოქმედებას

30 გიორგობისთვეს

ბანკი აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს წესდების თანახმად. 2—2

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

ოთხშაბათს, 4 ქრისტეშობისთვეს გ. ა. ნიკოლსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად: ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით:

I.

მოცარტი და სალიერი

II.

საბანეევას, ზალიპსკის, პოლიაევას, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით.

სევილიელი დალაქი

ფასები შესამჩნევად დაწეულია. — დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზ.

ხუთშაბათს 5 ქრისტეშობისთვეს საბანეევას, ალეშკოს, მოროზოვის, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკის, ისეცკას მონაწილეობით „ჰუგენოტი“.

შაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს ა. მ. კანშინას ბენეფისი შულგინის, შევამბერგის, კანშინის, პოლიაევას და ისეცკას მონაწილეობით „ნერონი“.

კვირას, 8 ქრისტეშობისთვეს საბანეევას, მოროზოვის, ორლას და ზალიპსკის მონაწილეობით „ლაკმე“.

თორმეტ ქრისტეშობისთვეს

(ძველი სტილით 29 გიორგობისთვეს)

არის სახალხო გვარდიის დღე

(1—1)

სტუდენტი

ეძებს გაკვეთილებს, საშუალო სასწავლებლის ყველა საგნებში.

ფულის მაგიერ—სადილი ან ოთახი.

მოსკოვის ქუჩა, სახლი 6, ბინა. 1. იკითხეთ 3—5 საათამდე. (4—1906—1)


## ერი და თავისუფლება

ოცდა-ექვს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დაუვიწყარი დღეა!

ასი წლის მონობამ მოადუნა ქართველი ერის სხეული და შეუხუთა კუნთები; უკიდურესმა კლასობრივ ბრძოლის მოძლევრებამ მის გონებას გადაუბნია ისეთი ბურუსი, რომ ამ ბურუსში კინაღამ ჩაიმარხა უძვირესი ღირებულება—ეროვნული განთავისუფლება. მაგრამ ალბად არის რაღაც საიდუმლო ძალა, რაღაც იდუმალი განგება, რომელიც ჰქმნის ისტორიას და მიაქანებს მთელს კაცობრიობას, მისდა დაუკითხავად, თავისუფლებისა და მსოფლიო ძმობისაკენ.

აქ ახალი არაფერია. თავისუფლება ყოველთვის იყო სანატრელი, ყოველთვის ითხოვდა მსხვერპლს და სისხლს, მაგრამ როგორც უზენაესი პრინციპი ცხოვრების და საერთაშორისო განწყობილებისა პირველად იყო გამოცხადებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ. საფრანგეთიდან ეს პრინციპი წამოვიდა ნაპერწკლებივით და მოედო მთელ ევროპას, აამოძრავა სხვადასხვა დამონებული ერები და შეარყია სხვადასხვა სახელმწიფოები. ევროპამ რასაკვირველია ბრძოლა გამოუცხადა და გამწარებით აქრობდა აქ-იქ გაღმოცვენილ ნაპერწკლებს. ვენის კონგრესი (1815 წ.) და მის მიერ დადებული ხელშეკრულებანი უტყუარი საბუთია იმ საშინელი რეაქციისა, რომელიც გამოიწვია ერთა განთავისუფლების იდეამ და რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ახრჩობდა ყოველ ეროვნულ მოძრაობას. ბოლოს მაინც გაერთიანდა გერმანია, განთავისუფლდა იტალია, იგემეს ეროვნული განთავისუფლება ბალკანეთის სხვადასხვა ერებმა... და ბოლო დროს ამ მსოფლიო მოძრაობის იდუმალ ტალღამ მოაღწია ჩვენს ქვეყანამდეც.

მსოფლიო ომმა დაანგრია რუსეთი, დაიმსხვრა მონობის ჯაჭვი და საქართველოს შილღუნებულმა სხეულმა იგრძნო თავისუფლება.

მაგრამ იგრძნო კი? ვაი თუ ვერა. სიბნელეს მიჩვეული თვალი ხშირად სინათლეს ვერ იტანს, მონობას შიჩვეულ ადამიანს ერთხანს რჩება მონური მიდრეკილება, იგი ბატონს ეძებს, იმას უბატონოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, იგი დარწმუნებულია, რომ ბატონი უსათუოდ მოვა, მხოლოდ არ იცის ვინ იქნება ის ბატონი: რუსი, თურქი, ინგლისელი თუ გერმანელი?! ამ სამარცხვინო ფსიხოლოგიის შექმნაში ჩვენც დიდი ბრალი მიგვიძღვის. თუ ყველა არა, ერთი ნაწილი ჩვენი მოღვაწეების სულ იმის ქადაგებაში იყო, რომ სამშობლო არ არის, რომ იგი მოგონილია მხოლოდ ბურჟუაზიის და აზნაურების მიერ, და როცა დადგა საშინელი წამი მამულის დაცვისა (მოიგონეთ თუნდაც ბათუმის დაკარგვა), ერთი ნაწილი ჩვენი ჯარისა სამარცხვინოთ გაიქცა. მართლაც, თუ სამშობლო არ არის, ვის და რისთვის უნდა შევაკლათ თავი?! ჩვენ ამოვფხიკეთ ხალხის გულიდან მამულის სიყვარული და გმირების ქვეყანა გადავაქციეთ მონების ქვეყანად.

მაგრამ მოქმედებს საიდუმლო ძალა და ჰქსოვს ეროვნულ სულს. ჩვენ გვყავს ჩვენი პარლამენტი, ჩვენ მოვაწყვეთ ჩვენი მთავრობა, ადმინისტრაცია, სასამართლო; ჩვენ შევქმენით ეროვნული ჯარი და ყოველ წამს მზადა ვართ დავიცვათ საქართველოს საზღვრები.

გონებას უვლის ცეცხლის რკალები და ჭრუანტელი—ძველთა სამარეს.

რასაკვირველია, ბევრი რამ გვაკლია, ჯერ კიდევ გვჭირია დიდი შრომა, თავგანწირული მუშაობა და მიზანშეწონილი მოქმედება. ბევრი რამ არ არის გაკეთებული როგორც რიგია, ბევრი—ხელახლად დასანგრევია და ხელახლად ასაშენი, მაგრამ რაც გინდა იყოს პესსიმისტობას ადგილი არა აქვს. შინაგანი სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, ეს აუცილებელი პროცესსია, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ მარტო პროცესს მივენდევით და თვით ჩვენი შრომით და მოქმედებით არ აჩქარეთ ეს პროცესსი.

იაპონიაში აგროვებდნენ ბავშვებს და იმათ სკოლებში უხსნიდნენ ცუსიმის ბრძოლას და მის მნიშვნელობას იაპონიისთვის. უკაცრავად ვარ, თუ შევადარებ ჩვენს სოფლის და ქალაქების მუშებს ამ ბავშვებს და თუ საჭიროდ ლავინახავ ისეთივე ახსნას და განმარტებას: თუ რა არის პოლიტიკური თავისუფლება ერისა. ჩვენ ბევრსა ვყვირით ჩვენს დემოკრატიაზე და დემოკრატიზმზე. მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ჯერ კიდევ რიგიანად არა აქვს ხალხსა შეგნებული ეს დიადი ღირებულება. ხალხი თეორიას არ მისდევს, იგი უშუალოდ სჯის და ეხლანდელი ცხოვრების სიძუხჭირე ხშირად ჰგონია სწორედ შედეგი ამ თავისუფლებისა. განა ახლაც არ ისმის აქა-იქ უმეცრი ხმები: რა მოგვიტანა თქვენმა ქებულმა რევოლიუციამ? რა ჰყრია თქვენს თავისუფლებაში? პური არა გვაქვს, შეშა არა გვაქვს, შიმშილით და სიცივით ვიხოცებითო?! არ უნდა ავუხსნათ, რომ ამ მოვლენებს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკური განთავისუფლებასთან? არ უნდა გავაგებინოთ ხალხსა, რომ სიმშილი და წყურვილი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზებით, რომ ეს შედეგია არა პოლიტიკური თავისუფლებისა, პირიქით, სწორედ იმისა, რომ ეს თავისუფლება ჯერ არ არის სრულიად დამყარებული და გატარებული ცხოვრებაში და საერთაშორისო განწყობილებაში: არ არის თავისუფლება მისვლა-მოსვლის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის და სხვა. შინ ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ავტორიტეტი ჩვენი მთავრობისა, იმის მოქმედებას ჯერ კიდევ წინ ეღობება სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ელემენტები. ჯერ კიდევ არა ვართ ყველას მიერ ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ როგორც შინ, ისე საერთაშორისო არეში არეულია და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური და კულტურული ძალები.

თავისუფლება სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას. მაშინ ბოლო მოეღება სიმშილსაც და წყურვილსაც, ამოძრავდება ეკონომიური და კულტურული ძალები და ცხოველმყოფელი სულთქმა თავისუფლებისა ერთიანად გარდაქმნის ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ მართალია პროლეტარები კი არა ვართ, ჩვენ გვაქვს აღურიცხველი მილიარდის ქონება. იგი აქ აწყვია ჩვენ წინ, თქვენ ფეხქვეშ. იგი დამალულია ჩვენს მთებში, ჩვენს მიწაწყლებში და ჩვენს ჰაერში. უნდა მხოლოდ ცოდნა და განვითარება, რომ მოვიხმაროთ ეს დიადი ქონება, უნდა თავისუფლება, რომ ცოდნაც მივიღოთ და განათლებაც, რომ ხელს არავინ გვიშლიდეს იმ დიადი შრომის დუღილში და ჩვენვე შევქმნათ ჩვენი სიმდიდრე და ბედნიერება.

ამისთვის საჭიროა, რომ ხალხმა გაიგოს ნამდვილი შინაარსი მომხდარი რევოლუციისა. „ინტერნაციონალი“ კარგია თავის დროზე და თავის ადგილას, მაგრამ მარტო „ინტერნაციონალზე“ ყვირილი არის დამარხვა და დასამარება ჩვენი პოლიტიკური თავისუფლებისა. სახელმწიფო არ არის საკუთრება ერთი რომელიმე კლასისა, სახელმწიფო ყველასია, სახელმწიფო მთელი ერისაა; ამიტომ მთელმა ერმა უნდა შეიგნოს, თუ რა დიადი ღირებულებაა პოლიტიკური თავისუფლება.

როცა გრგვინავს, ჩვენში ამბობენ, — „წმიდა გიორგი მიაქროლებს თავის რაშსაო“. ხალხის შეგნებაც უნდა იყოს ღრმა და ბრწყინვალე, როგორც ცის კამარა; თეთრი გიორგი, ემბლემა თავისუფალ საქართველოსი, უნდა იქ დააქროლებდეს თავის რაშს, უნდა ახმოდეს განუწყვეტელი გუგუნი ხალხის გულში და გონებაში ეროვნული ღირსების და ეროვნული პატიოსნებისა.

მაშინ მონების ქვეყანა გადაიქცევა ისევე გმირთა ქვეყანად.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს ხალხოსნური რესპუბლიკას!

გიორგი გვაზავა.

## დამოუკიდებლობა

კვირის საზეიმო სხდომით საქართველოს პარლამენტმა გაახსენა ქართველ ერს, რომ უკვე შესრულდა ნახევარი წელი მის დამოუკიდებელ არსებობისა.

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! სთქვა ერთხმად პარლამენტმა, ჯარმა და ერმა.

მაგრამ რამ გამოიწვია ასეთი სიჩქარე ზეიმისა, ასეთი სისწრაფე დღესასწაულისა?

რა არის ნახევარი წელიწადი შედარებით იმ დროსთან რაც გავიარეთ და რაც უნდა გავიაროთ კიდევ? ნახევარ წლობით ხომ მიცვალებულებს იგონებენ მარტო!

და მეც მგონია, რომ დღეს საქმე სწორედ მიცვალებულთან გვაქვს. ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი თავისუფლების დღეს შემდეგ ვიდღესასწაულებთ—ეს იქნება დღე ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცისა, დღე ჩვენი სახელმწიფო ნიჭის შეფასებისა.

დღეს კი ნახევარ წლის თავზე ჩვენ ვიხდით პანაშვიდს და არა ზეიმს, ჩვენ ვიგონებთ სწორედ მიცვალებულს და ეს მიცვალებულია უკვე მიწაში ჩასვენებული, მაგრამ ჯერ არ დავიწყებული საქართველოს მონობა.

დღეს ყოველმა ქართველმა უნდა გაიხსენოს ყველაზე უფრო გულის ამაღძვრელი და დამაღონებელი ჭეშმარიტება—რომ მკვდრები არ სდგებიან.

და როგორც არასოდეს არ ადსდგებიან საფლავიდან ჩვენი მშობლები, ჩვენი ძვირფასი დები და ძმები, ისე არასოდეს არ აღსდგება და არ უნდა აღსდგეს ის, რაც ას-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში უცვლელად ერისა და იმავე სისხლიან სამსხვერპლოს ატარებდა.

# დღეიდან ჩვენი გაზეთის კანტორასთან არსდება „საქართველოს რედაქციის ფონდი“

## დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას

— საქართველოს მონობა!

მთელი თავისუფალი საქართველო მთელი თავისი სახელმწიფოებრივი ნიჭით, მთელის თავის სიყვარულით დამოუკიდებლობისადმი ისე უნდა აწევს ამ მონობას, როგორც უმძიმესი და უდიდესი საფლავის ქვა.

და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ „მეორედ მოსვლის“ დროს, რომელიც ჩვენ გვგლის ყოველ წუთს და ყოველ დღეს, ამ ლოდის გადაბრუნებას ვერავითარ ანგელოზი ვერ შესძლებს.

მე არ ვიცი რად მოხდა ასე, მაგრამ განა მართლი არ არის რომ, ეს ასე მოხდა? ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი დამოუკიდებლობის ნახევარ წელიწადს, როცა ეს ეს არის ახლა გავიდა შემოდგომა. ის, რომ დღეს უკვე ზამთრის პირველი დღეა, მე მახარებს მეტად, ვიდრე ის მაისის დღე, როცა ნოე ჟორდანიამ პირველად წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ეს იყო დღეები ნაზი სიყვარულისა დამოუკიდებლობისადმი. ნერვიულობა იჭვი, სინაზე სულისა და მაშასადამე სისუსტეც, აი რა გვახასიათებდა მაშინ. ეს იყო ნამდვილი გაზაფხული, მაგრამ არა მცვივანი ფოთლებისა, რაც მხოლოდ შემოდგომით არის, არამედ მცვივანი ფერფლისა ყვავილებიდან, აკაციათა ჰაეროვან კალათებიდან. და რა კარგია, რომ ეს დღეები გავიდნენ და მოვიდა ზამთარი. ზამთარში მაჯა ღონივრად სცემს. სიცივე ყინვას ჰქმნის, რაც მაგარია წყალზე, რომელსა ეგა ზაფხულზე, „ხმლითაც ვერ გადასჭრი“ და ამ ზამთრის დღეს მაგრები ვართ არა მარტო ჩვენ, ადამიანები, არამედ მაგარია და მტკიცე ჩვენი სახელმწიფოც.

როდესაც ვიგონებ რა ოდრო-ჩოდრო გავიარეთ, რა ღრუბლები იწვა ჩვენს ცაზე, რა ნაირ ადიდებული იყო მდინარე ჩვენის ცხოვრებისა, ან როგორ იბრძოდა პატარა საქართველო ბოლშევიკებთან და ოსმალებთან, როგორ მეგობრობდა ის გერმანიას — ყველა ამ ცალ-ცალკე გარემოებიდან მე ერთი დასკვნა გამომყავს — ჩვენ ვიმარჯვებდით! ვიმარჯვებდით მიტომ რომ ჩვენსკენ იყო ღმერთი დამოუკიდებლობისა, რომელიც მე ეხლა მწამს და რომელიც უნდა სწამდეს ყველა ქართველს. მე არ ვიცი სად ცხოვრობს ეს ღმერთი, ჩვენს ეკლესიებში, სადაც განისვენებენ ჩვენი მამაპაპანი, ჩვენს ჯარში, სადაც მსახურებენ მათი შვილიშვილები თუ მუშათა სახელოსნოებში — მაგრამ ჭეშმარიტება ერთია, ჩვენი ეკლესიებიც, ჩვენი ჯარიც და ჩვენი სახელოსნოებიც აქ, ჩვენში საქართველოში არიან და თავისა საყვარელი ღმერთი მათ შუაზე შეუძლიათ გაიყონ, იმ აზრით რომ დამოუკიდებლობის ღმერთი დამოუკიდებელ საქართველოს ყოველ ატომში უნდა სცხოვრობდეს.

მე არ ვიცი, საჭიროა თუ არა, მოვიგონოთ დღეს ისინი ვინც ემსახურა და ემსახურებიან საქართველოს დამოუკიდებლობას? ბათუმის ფორტები, ჯავა, დარიალი, სანაინი, აწყური, სოჭი, აი, საერთო სახელები იმ ქართველებისა, რომელთაც უკვე მოასწრეს საქართველოსათვის სიკვდილი. დიდება მკვდრებს! მაგრამ მე ვსთქვი, რომ დღეს პანაშვიდია საქართველოს მიცვალებული მონობისა და ჩვენი ძვირფასი მკვდრების ხსენება ცალკე უნდა მოვაწყოთ.

მე ვიგონებ დღეს მხოლოდ ძველ საქართველოს, საქართველოს მონურს და ხუნდებს გაყრილს და იქნებ კიდევ მათ, ვისაც სხვანაირ დღეების ხილვა სურდათ და მონობაში კი მოკვდნენ. მაგრამ მე მგონია ხორბალი ქართველი გლეხისა, რომელიც ამ შემოდგომაზე იქმნა შიბნეული დამოუკიდებელ საქართველოს ხნულებაში, უკვე მიუტანდა ამბავს მათ, რომ უკანასკნელი მიცვალებულნი მონურ საქართველოსი ისინი იყვნენ.

**შ. ამირეჯიბი.**

---

საქართველო ამოვიდა მიცვალებულის კუბოდან, რომლის მაგრად დამჭედა საჭირო იყო მისი სიცოცხლისათვის.

რუსეთის დანგრევით ამიერკავკასია მოსწყდა მაცოცხლებელ ძალას და, საჭირო იყო მისი დაშლაც, რომ საქართველოსთვისაც დამდგარიყო თავისუფლების ბედნიერება.

ეს იყო 26 მაისს!

სასახლის თეთრს დარბაზში, ერთი საათის შემდეგ რაც განსვენება უგალობეს დრო მოჭმულ ამიერკავკასიას, ნაშუადღევის 2 საათზედ საქართველოს თავისუფლება იკურთხა.

მაგრამ მაშინ არ იყო ზეიმი.

არც მხცოვან ნოე ჟორდანიას ბიბლიურ სახეზედ და არც მრავალთა ჩვეულებრივად დაღამებულ თვალებში არ იყო განათება ბედნიერების.

თავისუფლება მოვიდა იძულებით და იძულებაში არასოდეს არ ყოფილა სიხარული.

მაგრამ საქართველო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მეთაურები.

მაშინ კიდევ იყვნენ უიმედონი, რომელთათვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა პრობლემა იყო და ესეთივები თვით უკიდურეს სეპარატისტების გულსაც კი ღრღნიდა:

შესძლებს თუ არა საქართველო დამოუკიდებელ არსებობას?

ამ დამოუკიდებლობამ უკვე ნახევარი წელი განვლო.

შეუძლია მას არსებობა?

ეს კითხვა დღეს აღარსად ისმება.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიას აქვს სამი მომენტი, რომელიც მძიმე ლურსმებით დაიჭედება მის ფიცარზე.

19 ნოემბერი.

სახელმწიფო თეატრის კედლებზედ სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს ეს დრო.

ყოველი სიტყვა ნოე ჟორდანიას მეტყველებიდან, მე მჯერა რომ შთაგონებული იყო.

სხვა გზით არ შეეძლო ენა დაბმულ ადამიანს მჭერ-მეტყველების შადრევანათ ქცეულიყო:

ყოველი სიტყვა იყო ბრძანება ჯერ არ ცნობილი ძალის.—

და აქ იყო იმედის დასაბამი და ამ იმედს არ დაუტოვებივართ უკანასკნელ დრომდე;

ეს იმედი ხდიდა ადვილად რუსების მშელონების ველურობასაც და ქართველების ინტერნაციონალობის სიმთვრალის ატანას.

შემდეგ იყო ბათომის დღეები.

და ეს სირცხვილის ხანაც საჭირო იყო, რომ მახვილით დასცემოდა ჩვენს გაცრებულ პატრიოტობას.

ბათომის დამარცხებამ გააბრწყინა პატრიოტიზმიც საქართველოში.

ჩვენი ირედენტა ამ პატრიოტიზმს არასოდეს არ დააცხრობს.

მე მახსოვს გენერალ გაბაშვილის წასვლა ბათომისათვის.

ხალხი სადგურებზედ ყვიდორა:

„გვინდა თავისუფლება“.

თითქოს ვინმეს უნდა დაეჭვებინდეს, რომ მათ „უნდოდათ“ თავისუფლება, მაგრამ ამ დაეჭვებისათვის საკმაოდ იყო მიზეზები.

მაგრამ საქართველო თავისუფალი გახდა ქართველი ერის მიერ და ეს უძლიერესი ძლევა იყო საქართველოსთვის, რომ ურწმუნონიც დარწმუნებულიყვნენ.

შემდეგ ისევ გაურკვევლად ვიდექით მომავლის წინაშე:

გვაცნობენ თუ არა?

მაგრამ საქართველომ აქაც გაიმარჯვა და დღეს თითქმის, ნახევარი ქვეყნიერების მიერ არის ცნობილი მისი თავისუფლება.

დღეს ისევ გამოუცნობი მომავლის წინაშე ვსდგევართ?

დღეს ისევე საჭიროა საქართველოს ცნობა.

მაგრამ ჩვენს ზურგსუკან დამოუკიდებელი ცხოვრების უკვე ექვსი თვეა.

ამ დროის განმავლობაში ცვლილებები მოხდენ არა მარტო საერთაშორისო ცხოვრებში.

ამ დროის განმავლობაში ძირიანად შეიცვალა ქართული შეგნებაც.

ექვსი თვის წინეთ მწუხარე იყო ამიერ-კავკასიის დახამარება.

და საქართველოს დამოუკიდებლობა იძულებულად იხსენებოდა.

გუშინ კი იმავე ნოე ჟორდანიას პირით ეს აქტი „ისტორიულ აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოხეთქილად გამოცხადდა“.

სოციალ-დემოკრატიის ჰალარა ბელადმა ისტორიას გადასცა არა მარტო თავისი ბოდიშები რაიონულ კოლექტივების წინაშე.

მან ისტორიასვე გადასცა თავისი ციფრებიც, რომლითაც ოდესღაც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ავტონომიურადაც ცხოვრება არ შეუძლიათ.

„დაინახოს ჩვენმა მტერმა და მოყვარემაც, რომ ჩვენ არა მარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვიყვნეთ დამოუკიდებელნი“.

ამ სიტყვებმა ბევრი რამ უნდა დაფაროს სოციალ-დემოკრატის მწუხარე წარსულიდან.

და თამამად ითქმის, რომ თუ სოციალ-დემოკრატია იყო დამნაშავე, რომ ჩვენი თავისუფლება თალხით შეიმოსა ქართველი ერისათვის, ამ თავისუფლების დღესასწაული სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა ჟორდანიამ და ჩხეიძემ ბრწყინვალედ გადიხადეს.

მათი ორივე სიტყვა დიდხანს დარჩება პატრიოტულ აღტაცებას მოწყურებულ ქართველთა გულში.

ეს მესამე ლურსმანიც მიეჭედა საქართველოს ისტორიის ფიცარს!

ამის შემდეგ საქართველოს თამამად შეუძლია წარსდგეს ქვეყნიერების სამსჯავროს წინაშე.

და ამ სამსჯავროსი ჩხეიძის სიტყვით.

მას „არც ცხვენია, არც ეშინია“, რადგან

სირცხვილისათვის მას დანაშაული არ ჩაუდენია.

უშიშრობისთვის კი ძლიერია გრთიანობა.

ესეთი საქართველო თავისუფალი უნდა იყოს.

ძველ ზღაპრებშია ნათქვამი.

მაისში დაბადებული ყვავილებში ხარობსო.

საქართველო კი... ღირსია მაისობის!

**ლ. ჯაფარიძე.**

## საქართველოს დღესასწაულზე

საქართველომ თავისუფლების ნახევარ წლის დღესასწაული გადიხადა.

ასეთი მოგონება ჩვეულებ... მიცვალებულისთვის, მაგრამ ახლად შობილ საქართველოსთვის ამაშიც არის უცნაურობა.

## ინგლისელები ფოთში

30 გიორგობისთვეს ფოთში ჩავიდნენ ინგლისური გემები. მათ ხელმძღვანელს ქალაქის თავი პოლკ. ჩხეიძე სიტყვით მიესალმა მან გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისი განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ინგლელ გემთა უფროსმა განაცხადა, რომ ინგლისი ყოველთვის ჰფარველობდა პატარა ერებს. სტუმრებს პატივსაცემი მიგებება გაუმართეს. სტუმრები ჰკვირობდნენ საქართველოს მშვიდობიანობას და წესრიგს, რაც სხვაგან ვერ უნახიათ. მოკავშირეთა ჩასვლას შავიზღვის სანაპიროზე მიზანი აქვს, დარღვეული მშვიდობიანობა განამტკიცოს. 12 ს. 1 ქრისტეშობისთვეს, ინგლისელები ბათუმს გაემგზავრნენ.

## ინგლისელები სოხუმში

29 ქრისტეშობისთვეს ინგლისელები სოხუმში ჩავიდნენ სტუმრებს მიეგებნენ: საოლქო კომისარი სხივიშვილი და ის. რამიშვილი. საქართველოს მხედრობის სახელით ვაშაკიძე მიესალმა მას. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი და 30 გიორგობისთვეს სამხრეთისკენ გაემართნენ.

## მთავრობის წრეებში

მთავრობამ დაადგინა ეცნობოს პარლამენტის 3. ვზიდიუმს, რომ კანონპროექტი განათლების კომისიის შემუშავებული სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობის შესახებ, დეკლარატიული ხასიათი აქვს და ამიტომ მისი პარლამენტში წარდგენა ზედმეტია.

—

დროებით ბეითალ-ექიმებს და მათ ფერშლებს მიემატოს თითოს ათ-ათი თუმანი 1918 წლის 14 ენკენისთვიდან ათ მილიონიან ფონდიდან.

—

გადაიდვას ხაზინიდან ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის განკარგულებაში 200,000 მან. შტატების შემცირების გამო დათხოვნილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დასაკმაყოფილებლად.

—

განათლების მინისტრის მოხსენება ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობაზე მოწონებულ იქნა.

### რედაქციისაგან.

რედაქციისაგან დამოუკიდებელ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო გაზეთ „საქართველოს“ კვირის 1 ქრისტეშობისთვის ნომერი, რომელიც სავსებით შეწირული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს, და აგრეთვე 3 ქრისტეშობისთვის ნომერი არ გამოსულა:

ამის გამო, ზოგიერთი წერილები, რომლებიც ამ ნომრებისათვის იყვნენ განზადებულნი, დღეს იბეჭდება.

შემდეგი ნომერი, დღესასწაულის გამო გამოვა ხუთშაბათს, 6 ქრისტეშობისთვეს.

## ქრონიკა

✦ **საჭიროა მასწავლებლები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ატენის, გომარეთის, ყადამშის და მოდანახეს** (თვეში 400 მ.) კავკავის (700 მ.) და ნალჩიკის (600 მ.). თხოვნები მიიღება წ. კ. გ. ს. კანცელარიაში.

✦ **ახალი კალენდარი.** საქ. საკათალიკოსო საბჭოს დავალებით ამავე საბჭოს დირექტორმა კალისტრატე ცინცაძემ შეადგინა ახალი სტილის ახალი კალენდარი, რომელიც ამ ჟამად სტამბა „სორაპანში“ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა.

✦ **მშობელთა კრება.** დღეს დილის 10 საათზე ქალთა ყოფილ ინსტიტუტის შენობაში შესდგება ქალთა მეშვიდე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება.

✦ **გერმანულ ენის კურსები.** 9 ქრისტეშობისთვეს, სად. 6 საათზე, პირველ სავაჟ. გიმნაზიის შენობაში. გაიხსნება გერმანულ ენის კურსები ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით. სწავლა ბერლიკის მეთოდით. მეცადინეობა სალამოობით, ჩაწერა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით სად. 6 საათ. 7 საათ.

✦ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება.** დღეს, სალამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11 შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, კ. ზუდაკოვის მოხსენებით.

✦ გუშინ რუს სამღვდელოების წარმომადგენელნი განჯის ეპ. თეოფილაქტეს მეთაურობით გაემგზავრნენ ბაქოს გენ. ტომსონთან საქართველოში რუსების ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

✦ დღეს, შუადღის 1 ს., დანიშნულია პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მორიგი სხდომა, სადაც სხვა კანონ-პროექტებთან ერთად განხილულ იქნება ერთ-დროულ გადასახადის შემოღების კანონ-პროექტი.

✦ **რუსთა ეროვნული საბჭომ** 2 ქრისტეშობისთვეს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშით მიჰმართა: რადგან რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა ვერ მიიღეს ნებართვა ბათუმში გასამგზავრებლად, სადაც შეთანხმების სახელმწიფოთა მისსიას უნდა შეჰხვედროდნენ და ითვალისწინებენ, რომ სომხეთის დელეგაციას გამგზავრების საშუალება მიეცა, ამისთვის რუსთა ეროვ. საბჭო აცხადებს პროტესტს და ხელმეორედ მოითხოვს ნებართვას დელეგაციისათვის.

## პარტიული ცხოვრება

ეროვ. დემ. პარ. თბილისის კომიტეტი განმეორებით აცხადებს, რომ ქვიშხეთის ლატარიის ფული და წიგნაკები უნდა გადაეცეს მხოლოდ ლატარიის ხაზინადარს გიორგი მაჭავარიანს (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი.)

## ჩრდილო კავკასია.

დაღესტანი მას შემდეგ რაც დაღესტნის ჯარებმა ოსმალებთან ერთად პეტროვსკში ბიჩერახოვი დაამარცხეს, საოცარი სისწრაფით თერგის ოლქში მიიწევენ და მათი პირველი რაზმები საჩჩნოში კიდეც შევიდნენ კავკასიის მთიულთა მთავრობის და გენერალ ტომსონის შორის მოლაპარაკება გამართული.

ქ. მოზდოკი ახლა ხან მოსული ცნობებით ბოლშევიკებს ქ. მოზდოკი ჯერ არ აუღიათ.

ქ. კავკაზი ქალაქში დიდი უწესრიგობაა. არც ბურჟუაზია, არც ინტელიგენცია ქალაქში აღარ ჰსჩანს. კავკავიდან ჩამოსულის სიტყვით კავკაზა პური ღირს გირვანქა 5 მ. 50 კ. ერბო 50 მანეთი.

ინგლისური მისია ამ ჟამად ბოლშევიკების ხელშია. განზრახვა აქვთ იგი სოვდეპიაში წარგზავნონ.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ვილჰელმის გადადგომა**

მრავალ უხამუძლო ხმების გასაფანტად ვილჰელმა ოფიციალური სიგელით უარჰყო როგორც პრუსიის ისე გერმანიის კავშირის გვირგვინი. სიგელში ნათქვამია: „ამით უარს ვაცხადებ პრუსიის გვირგვინზე და გერმანიის საიმპერიო ტახტზე“.

ამასთან ვანთავისუფლებ გერმანიის იმპერიის და პრუსიის ყველა სახელმწიფო მოხელეს, ოფიცრებს, უნცროს ოფიცრებს და გერმანიის ლაშქრის, ფლოტის ჯარის კაცთ და მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარებს იმ ფიცისაგან, რომლითაც შემეკრენ როგორც იმპერატორს, მეფეს და მთავარსარდალს. მე ვიცი რომ ყველა ოქვენგანი, რომელიც დღეს განაგებენ გერმანიის ბედს, ხელს შეუწყობს გერმანიის ხალხს, რომ თავი დააღწიოს ანარქიას, შიმშილს და გარეშეთა მძლავრობას“

**ომის შემდეგ**

დღემდე მოსულ ცნობებით საქსონიის ჯარის დანაკლისი ყველა ასპარეზზე ასეთია: მოკლულნი და დახოცილნი 109,588 კაცი, დაჭრილია 294,638, უკვალოდ დაკარგულნი და ტყვედ წაყვანილნი 56,852, ამათგან მოწინააღმდეგებს ტყვედ ჰყავთ 37,012.

საიმპერატორო მთავრობა აცხადებს „ბრძანების ფურცელში“ რომ ყველა ოფიცრებს და მოხელეთ ესპობათ სამხედრო დროის ჯამაგირები და ამის შემდეგ მშვიდობიანი დროის ჯამაგირები მიეცემათ.

**საბჭოს პროპაგანდა გერმანიაში.**

მიუნხენის მუშათა დეპუტატების საბჭოს ერთი წევრის ცნობით ბოლშევიკებმა გერმანიაში რევოლუციონური აჯანყების მოსაწყობად 3 მილიონამდე დახარჯეს. რუსული ფული ბავარიის გლეხობაშიც ბევრია.

**აჯანყება უკრაინაში.**

უკრაინაში აჯანყება გრძელდება. უკრაინის ბევრს ნაწილებში ბრძოლაა აჯანყებულთა და გეტმანის მომხრეთა შორის. ბევრს ქალაქებში და დაბებში, სადაც კი გეტმანის მთავრობა ჩამოაგდეს, მუშებმა საბჭოები აღადგინეს.

**დემონსტრაცია ამსტერდამში.**

ამსტერდამში აჯანყებამ იფეთქა. ბირჟის შენობის წინ ხალხის ბრბო ორატორებით მოითხოვდა რესპუბლიკის დაწესებას. დემონსტრაცია წითელი ბაირაღებით სროლით გაჰფანტეს. ბევრია მოკლული და დაჭრილი. ქალაქში ცხენოსანი ჯარის რაზმები და ცხენოსანი მილიცია დაიარება. სოციალისტები მოითხოვენ მუშათა მთავრობის დაწესებას, რომელმაც უნდა თავის ხელში აიღოს მრეწველობა, ბანკები და სურსათის განაწილება.

**მღელვარება კოპენჰაგენში**

კოპენჰაგენის ქუჩებში დიდი მღელვარებაა. დემონსტრანტებთა რიცხვი ათი-ათას უდრის. ორატორები რევოლუციისათვის მოუწოდებენ. ბევრ ადგილებში ბრძოლა მოუხდათ მილიციასთან.

**გაფიცვა შვეიცარიაში.**

შვეიცარიაში ყველგან სამხედრო წესები შემოიღეს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაფიცვებით შეთანხმებამდის ვერ მივლენ. დაარსდა ინტერნაციონალური სარევოლუციო კომიტეტი, რომელიც საყოველთაო გაფიცვისათვის მოუწოდებს.

**საფრანგეთში**

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთში დიდი რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობის ცენტრი პარიჟია. ასპარეზიდან მოსული ჯარები რევოლუციონერების წინააღმდეგ გამოსვლაზე უარს ამბობენ. საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვრები დაიკეტა, რათა ამით ხელი შეუშალოს რევოლუციონურ პროპაგანდას.

# საქართველოს პარლამენტში

## საქართველოს დამოუკ. დღესასწაული

1 ქრისტეშობისთვე.

სასახლის მოედანი ხალხით არის ავსილი. ქვაფენილის წინ შპალიერებათ გაკრულან ჯარისკაცები. წინ სახალხო გვარდია თავისის დროშებით და მუსიკით. თვით სასახლე შიგნით საზეიმოთ არის მორთული ნოხებით და ყვავილებით. პარლამენტის დარბაზში ეროვნული დროშებია აშართული და პრეზიდიუმის ამაღლებული მაგიდა მცენარეებშია დამალული. თავმჯდომარის სკამს ზევით დიდი, სამფეროვანი დროშაა. მის მარჯვნით ახალგაზრდა ჯარისკაცი ეროვნული დროშით, მარცხნით მოხუცი სახალხო გვარდიელი წითელი ბაირაღით.

12 საათისათვის დარბაზი დეპუტატებით ივსება; ყველა სკამები დაკავებულია. მთავრობის მაგიდაზედ ყველა მინისტრები სხედან. დიპლომატიურ ლოჟაში თბილისში მყოფი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი არიან: მათ შორის: გერმანიის წარმომადგენელი ღენერალი ფონ-კრესსი, სპარსეთის კონსული შერიფ-დოულე, ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაფაროვი, სომხეთისა არშ. ჯამალიანი, ჩრდილო-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი კოცევი, შვეიცარიის კონსული ბორლერი, საბერძნეთის რარლტონი, ლიტვის დალიდე, უკრაინისა კულინსკი და ისპანიის ბერშენინი.

პრესის ლოჟაში თბილისის ყველა გაზეთების წარმომადგენელნი არიან.

პარლამენტის პრეზიდიუმის ადგილზედ: თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მის მარცხნით ექვთიმე თაყაიშვილი, მარჯვნით იოს. ბარათაშვილი.

მდივნები: დავით ონიაშვილი და იოსებ აბაკელია.

თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე სხდომას გახსნილად აცხადებს.

მუსიკა ეროვნულ ჰიმნს უკრავს.

მთელი დარბაზი, მთავრობა, დიპლომატიური წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი ფეხზედ სდგებიან და ტაშისცემით უხვდებიან მუსიკის შესრულებას.

### ნიკოლოზ ჩხეიძის სიტყვა

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო!

ექვსი თვეა მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ექვსი თვეა, რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ხალხის ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ ისტორიაში, რასაკვირველია, ეს ძალიან ცოტა დრო არის. მაგრამ, იმ ხანაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, როცა ხდება ძირითადი ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, როდესაც ჩვენ შევდივართ ახალ ხანაში, მაშინ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ჩვენ წარვდგით ამ ექვსი თვის წინეთ, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა, ნეიტრალობა, და ხალხთა შორის სოლიდარობა — აი ის საფუძველი, რაზედაც დავამყარეთ ჩვენ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფოებრივ შენობაში. და ჩვენ, ჩვენის ნებით, ამ პრინციპს და გზას არ გადაუხვევთ. (ტაში ყველა სკამებზედ).

მე, ჩემ და თავად ზედმეტად მიმაჩნია განმარტება დაწვრილებით ჩვენი დამოუკიდებლობის მნიშვნელობისა.

მე მინდა მხოლოდ შემდეგზე მივაქციო თქვენი ყურადღება.

თქვენ ძალიან კარგად იცით, ხალხის წარმომადგენლნო, რომ მეფის რუსეთი მოსისხლე მტერი იყო, სხვათა შორის, ხალხის თვითგამორკვევისა. იმიტომაც, როცა მეფის რუსეთი დაინგრა, სხვათა შორის, უპირველესად, გაისმა ლოზუნგი ხალხთა გამორკვევისა, და ძველ რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენა იწყო სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებმა ეს სრულიად ბუნებრივი იყო. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ, ამ პროცესის შეჩერება შეიძლება, და თუ ვინმე ფიქრობს რომ შესძლებს უკუღმა შეატრიალოს ეს პროცესი, ან ეს მიმდინარეობა და ხელოვნურ კალაპოტში მოამწყვდიოს — ჩემის აზრით, ის ძალია სცდება.

საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა ყველაზე უგვიანეს გამოაცხადა, გამოაცხადა მაშინ, როდესაც რუსეთი ნანგრევად იქცა, და რევოლუცია — ანარქიად. მიუხედავად იმისა, არც ერთ აქტს დამოუკიდებლობისას რუსეთში არ გამოუწვევია ისეთი მწვავე ინტერესი, როგორიც გამოიწვია აქტმა ჩვენი დამოუკიდებლობისა.

დამოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადეს იმ ელემენტებმა, რომ-

მელზედაც დაბეჭდილი იყო თვითმპყრობელობა. რადგანაც ისინი დაჯერებული იყვნენ, და არიან დღესაც, რომ საქართველო უკუნითი უკუნისამდე უნდა დარჩეს საუკეთესო სამკაულად მეფის გვირგვინისა.

ისინი ვერ გაიგებენ, რომ საქართველო იყო განძი, და სამკაული, რომელსაც ხალხმა ათასი წლის განმავლობაში შესწირა თავისი სისხლი და სიცოცხლე.

საქართველოს ბრძოლა გამოუცხადეს იმ ელემენტებმა, რომლებიც მუდამ აია-სოფია და სტამბოლზე ოცნებობდნენ, და ისინი ვერ მიხვდნენ, და ვერ მიხვდებიან, რომ დამოუკიდებელი საქართველო არასოდეს, არავითარ მონაწილეობას მილიტარისტულ ავანტიურაში არ მიიღებს. ის დაიცავს თავის-თავს და არ გამოეცილება სხვას.

ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადა ბოლშევიზმმა, რადგანაც საქართველო გადაიქცა ბუდედ რევოლიუციისა,—და ბოლშევიზმი—კონტრ-რევოლიუციისა.

არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც, საქართველოს დამოუკიდებლობას, ასე ვსთქვათ, „ობივატელურად", ან სიხარბის თვალით უყურებენ. მათი ხელობა არის, ხშირად, მძრომიარობა, კინკლაობა და მოღალატეობა. ისინი მაინც და მაინც არ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს, თუმცა მათზე თვალი მარჯვედ უნდა გვქონდეს. მათ პოლიტიკას უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი მტკიცე და გულახდილი პოლიტიკა ხალხის სოლიდარობისა, და თუ ჩვენ ამ გზას მტკიცედ დავადგებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ესეთი ელემენტები გონს მოვლენ.

არის კიდევ ერთი ჯურის ხალხი, რომელიც უარყოფით არ ეპყრობა ჩვენს დამოუკიდებლობას მაგრამ ისინი მუდამ თავს დაგვტირიან, და მოსთქვამენ, რომ ჩვენ ვართ სუსტი, და ასეთი პირობებში, დამოუკიდებლობა დაგვღუპავს ეკონომიურად, და ფინანსიურად. მე ვფიქრობ, რომ უდიდესი ნაწილი ამ ჯურის ხალხისა, არის ეშმაკის მოციქული და მათდამი ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. მხოლოდ, თუ მათ შორის არიან გულწრფელნი, ჩვენ ვეტყვით მათ: „თუ ჩვენ სუსტნი ვართ, მოდით, და თქვენის საქმიანობით და ცოდნით დაგვეხმარენით, და გაგვამაგრეთ"!..

ხალხის წარმომადგენელნო!

ჩვენ მეგობრებიც ბევრი გვყავს, კეთილმოსურნენი და ამათზე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა გითხრათ თქვენ.

თქვენ კარგად იცით, ხალხის წარმომადგენელნო, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის დემოკრატია სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, ჩვენი დემოკრატია ხელი-ხელ ჩაკიდებული, მიდიოდა. საერთო მუშაობამ რუსეთის დემოკრატიასთან, ანარქიამ და კონტრ-რევოლიუციამ ეს ნამდვილი რუსეთის დემოკრატია შეჰკრა და შეჰბოჭა იმ ხანაში და შესწყვიტა საერთო დემოკრატიული მუშაობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს იყო შედეგი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ვინც ესე ჰფიქრობს, მე მგონი, ის ვერ არჩევს შედეგს მიზნისაგან და მიზანს შედეგისაგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნამდვილი დემოკრატია ჩვენ დამოუკიდებლობას თანაგრძნობით უყურებს და კარგად იცის, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა გახდა აუცილებელი პირობა ჩვენი თვით გამორკვევისა. (ტაში)

ეს დემოკრატია დარწმუნებულია, რომ თუ ეს თვითგამორკვევა ნორმალურ პირობებში მოხდება, ეს შექმნის ნიადაგს რომ კვლავ, აღსდგეს საერთო დემოკრატიული ფრონტი.

ჩვენ მხოლოდ მივმართავთ დღეს ამ დემოკრატიის ერის დავალებით; ჩვენ ვეტყვით მას, რომ საქართველოზედ დღეს ბევრს ტყუილს და ცილისწამებას ავრცელებენ. და ჩვენ მოგმართავთ თქვენ: „თქვენ უნდა ხმა აღიმაღლოთ, ასეთ უსამართლობის წინაშე, და დაგმოთ ასეთი საქციელი კაცობრიობის წინაშე.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებად გვიცნობს ის, ვის ხელშიაც არის დღეს ქვეყნის ბედ-იღბალი. მართლაც, ჩვენ სხვა სახელმწიფოები თანაგრძნობით გვიყურებენ, და ამის საბუთი ისიც არის, რომ აი აქ ბრძანდებიან წარმომადგენლები სხვა სახელმწიფოებისა. (საბჭო ოვაციით ხვდება ფონ-კრესს და საერთოდ უცხოელების წარმომადგენლებს).

ჩვენ, ახლო ხანში შემთხვევა გვქონდა შევხვედროდით და დაგვემტკიცებინა ერთი უკულტურეს ევროპის ხალხისათვის, რომ ჩვენ ვიცით ფასი თავისუფლებისა, ვიცით ფასი კანონიერებისა, ვიცით ფასი დისციპლინისა და გვაქვს უნარი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა. (სპ. კედია: მართალია!)

ეხლა ჩვენ შემთხვევა გვეძლევა შევხვდეთ პირისპირ სხვა განათლებულ ხალხის წარმომადგენლებსაც. და ჩვენ ამ შეხვედრისა, თამამად შეგვიძლია თქვათ, არც გვრცხვენიან და არც გვეშინიან (ხანგრძლივი ტაში).

არ გვრცხვენიან მისთვის, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს, დღეს, უდიდესი სახელმწიფოებრივი გარანტიები, რომლის აქამდე იყო საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის დიდი დემოკრატია.

არ გვრცხვენიან მისთვის, რომ ჩვენ შეძლებისდაგვარად ცხოვრებაში ვატარებთ სოციალურ რეფორმებს, ხალხის სასარგებლოდ.

მართალია, ჩვენ ღარიბნი ვართ ნივთიერად მაგრამ, არ ვართ ღარიბნი სულიერად, (ხანგრძლივი ტაში) და ძალიან მდიდარნი ვართ ჩვენი ქვეყნის ბუნებით. და ვინც აქ მოვა იმ მიზნით, რომ ეს სიმდიდრე გამოიყენოს თავის გამოცდილებით, ცოდნით და უნარით, გვასარგებლოს ჩვენ და თითონაც ისარგებლოს,—ჩვენ მათ ვეტყვით—„კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა!"

მხოლოდ, ვინც მოინდომებს იმას, რომ ჩვენ გაგვაღატაკოს და ხელი ავლებინოს ჩვენს განძზე, ჩვენ იმათ ვეტყვით: „ხელი შორს!" (ტაში).

არ გვეშინიან ჩვენ, რადგან საფრანგეთ-ინგლისმა, ამერიკამ და სხვა განათლებულ სახელმწიფოებმა უკვე აღიარეს პრინციპი ერთა თავისუფლებისა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს განათლებული ხალხი—არც გადაუხვევს ამ პრინციპს და ვერც გადაუხვევს.

ჩვენ არ გვეშინია, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოს საშუალება მიეცემა წარდგეს საერთო სამშვიდობო კონგრესზე და მთელ კაცობრიობას აუწყებს თავის ავს და კარგს.

და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვეშინიან, რადგანაც დასავლეთ ევროპის დემოკრატია დაიძვრება ადგილიდან, და გასწევს იმ ადგილისაკენ, სადაც არ იქნება არც ერთი შუღლი და არც კლასობრივი ბრძოლა. ჩვენ ამ დემოკრატიას გავყვებით ფეხდაფეხ, და ერთ ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩებით. მაშ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს (მქუხარე ტაში). გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას (ხანგრძლივი ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს (კრება ფეხზე დგება და ეგებება მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით).

## მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო! ამ ასი წლის წინად საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე. ამ ექვსი თვის წინად იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა (ლასა მგელაძე—გაუმარჯოს ამ დამოუკიდებლობას).

ასეთი ორი ერთი მეორეს მოპირდაპირე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე აქტი არის დროს აქტი ჩვენ ცხოვრების ძირითადი პრობლემისა. ამ ორი აქტის შორის არის ერთი, დიდი რამე საერთო,—ის, რომ ორივე აქტი იყო გამოწვეული ერთი და იგივე მიზეზით და ამ ორ აქტმა მიაღწია ერთი და იგივე შედეგს. ამ ორ აქტის საერთო მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ საქართველოს ხალხს თავი დაეხსნა აზიურ ბარბაროსებისაგან და შედეგი ორივე აქტისა იყო ის, რომ საქართველო ამ ორმა აქტმა იხსნა იმ აზიურ ბარბაროსობისაგან და შემოსევისაგან. აქედან თქვენ ხედავთ რომ აქტი 26 მაისისა არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედითი, აქტი მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის, ან პარტიის მიერ. არა, ბატონებო, ეს აქტი იყო ისტორიულ აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოხეთქილი. (ხანგრძლივი ტაში). ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას, ამ აქტის საშვალებით საქართველოში არ შემოსულა შეიარაღებული ძალა ჩვენ სამტროდ. ამ აქტით შემოვიდა მართლა ჩვენში შეიარაღებული ძალა, მაგრამ შემოვიდა ჩვენდა საშველად, და იმედი გვაქვს, და ვართ დარწმუნებული, რომ თუ კიდევ შემოვიდა შეიარაღებული ძალა ჩვენში, ძალა ევროპიული, ეს ევროპიული შეიარაღებული ძალა იქნება ჩვენ სამოყვროთ და სამეგობროთ. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სულის კვეთება და ლტოლვილება დაწყებული 11 საუკუნიდან იყო ის რომ რამე ნაირად მოვშორებულვიყავით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპიულ კულტურაში და ამიტომ ჩვენ არ გვექნება მტრული განწყობილება ევროპასთან და არც ევროპას ექნება ჩვენთან: თუ კი გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები ჩვენ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა, მით უფრო ჩვენ მოველით ასეთ მოპყრობას ახალ გერმანიისაგან და იმ ქვეყნებისაგან, რომლის წარმომადგენელნი დღეს მოდიან ჩვენსკენ, და რომლებმაც უკვე გუშინ ფეხი დაადგეს ჩვენს ტერიტორიაზე ასე რომ ჩვენ არ გვმართებს ცრემლთა ფრქვევა და არც უიმედობა მხოლოდ ერთი პირობით:

ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენს ისტორიულ გზაზე და უნდა ვსთქვათ გადაჭრით და ხმა მაღლა, რომ არ გვინდა არც ქაოსი არც ბარბაროსობა საიდანაც უნდა მოდიოდეს ის, მოდიოდეს იგი სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან (ტაში). ჩვენ დღეს შეგვიძლიან შევიდეთ ევროპიულ ხალხთა ოჯახში პირდაპირ სრულიად უშუამავლოდ. დღეს ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და ჩვენ ჩვენის ნებით არ გადაუხვევთ (ტაში).

მაგრამ გვეტყვიან ეს თქვენი მშვენიერი სურვილია და სურვილებით არავინ შესულა სამოთხეში.

დიახ ეს ჩვენი სურვილია, მაგრამ არა სურვილი უნიადაგო, არა ისეთი, რომელსაც არა ჰქონდეს თავისი საპატიო საბუთები. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ ჩვენი სურვილით ასეთი მსუბუქის ბარგით ვაპირებთ ხალხთა შორის თანასწორობის მოპოვებას,—ის უეჭველად შემცდარია.

არა, ჩვენ შეგვიძლიან თვით უსასტიკესი არეოპაგის წინაშე წარვსდგეთ იმ საბუთებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ამ საბუთად ჩვენ გვაქვს 6 თვის ისტორია.

მოხდა ერთი დიდი ფაქტი. ის ფაქტი, რომელსაც ვერ უარჰყოფს ვერავინ.

ეს ფაქტი გახლავთ ის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია რევოლიუცია თებერვლისა მთელ რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე მხოლოდ აქ საქართველოში განმტკიცდა აქ შეისხა სისხლი და ხორცი.

თებერვლის მოპოვებულმა თავისუფლებამ ააფორიაქა მთელი რუსეთი, ააფორიაქა ყველა ხალხი. იქ გამოიწვია განაწილება იმ გვარად, რომ ერთის მხრივ ამუშავა ანარქია და მეორე მხრივ ამუშავა რეაქცია.

მარტო აქ, საქართველოში ამ თავისუფლებამ იპოვა თავისი ღირსეული პატრონი და გონიერი მოყვარე მან ვერ გააქანა ჩვენი ხალხი ვერც ანარქიისა და ვერც რეაქციისაკენ.

დემოკრატია მხოლოდ აქ იპოვა და დაეპატრონა ქვეყანას.

ერთი წლის რევოლიუციის ქარტეხილმა აქ გამოსჭედა ხალხი თავისთავის პატრონი და თავის თავის მმართველი.

აქ მხოლოდ, აქ აღმოჩნდა დემოკრატია ისეთი ძლიერი, რომ არ გადასცდა თავის ისტორიულ გზას და არ აჰყვა არც ერთ იმ გზებს რომელნიც გამოჩნდნენ შემდეგ თვეებში, და რომელთაც გამოიწვიეს რუსეთის აფორიაქება. თავისუფლება მხოლოდ ჩვენში არ აღმოჩნდა მტერი წესიერებისა. წესიერებამ მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ფესვები თავისუფლებისა. მოსპეთ ეს თავისუფლება და გაჩაღდება დიდი არევ დარევა მოსპეთ წესრიგი და მოისპობა თავისუფლება. და საქართველოშიაც ამ ორ ელემენტების შედუღება, თავისუფლების და მოქალაქობრივის წესრიგი, ამ ორი ელემენტის შედუღება ქმნის ჩვენს ხალხისგან პოლიტიკურ დემოკრატიას. და აი სწორედ ამ საბუთით ჩვენ ვამბობთ რომ ჩვენ ვართ უკვე ხალხი ევროპიული და დემოკრატიული. (ტაში).

აქედან თქვენ ხედავთ და ეს უნდა დაინახოს ჩვენმა მტერმა და მოყვარემაც, რომ ჩვენ არა მარტო გვინდა ვიყვნეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლიან ვიყვნეთ დამოუკიდებელნი (ტაში).

ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ მივმართეთ ყოველივე ზომებს, რომ ამ ჩვენ დამოუკიდებლობას მისცემოდა შესაფერი იურიდიული და კონსტიტუციური ნორმები.

ჩვენი პარლამენტი, ჩვენი მთავრობა, ჩვენი უწყებანი ამ საქმიან მუშაობაში არიან, თქვენ იცით, რომ 6 თვის წინად ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სახელმწიფოს შენება თითქმის ცარიელ ადგილიდან.

წინად იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა რევოლიუციისათვის, არ იყო დრო, რომ ჩვენ აქ გვემუშავნა აღმშენებლობის საქმეზე.

ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ შეუდექით მოპოვებულ თავისუფლების კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოყალიბებას. ჩვენ ამ 6 თვის განმავლობაში მოვაწყეთ აპარატი ადმინისტრატიული, შემოვიღეთ ერობა, მოვახდინეთ აგრარული რეფორმა და, რაც უფრო საყურადღებოა, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს ჰქონოდა საკმარისი ქონება, რომ შეეძლოს ფართე სახელმწიფოებრივი მეურნეობა დაიწყოს. და უნდა ვსთქვა, ამ მხრივ ჩვენი პატარა რესპუბლიკა შეადგენს დიდ გამონაკლის. არა მგონია, რომ რომელიმე არამც თუ პატარა, არამედ დიდ რესპუბლიკას ჰქონდეს იმდენი უძრავი ქონება რამდენიც დღეს ჩვენს რესპუბლიკას, აქვს ჩვენ მოვაწყეთ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჯარი, დამოუნები შევიმუშავეთ ახალი გადასახადების სისტემა, საუკეთესო მიმოსვლა, გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფი თითქმის ორჯელ და მრავალ მაზრებსა და სოფლებში გავიყვანეთ ტელეფონები, გარდა ამისა ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ ხალხი დაუკავშირებინა სწავლა-განათლებასთან მის სამშობლო ენით, გავამრავლეთ სახალხო სკოლები იქ სადაც არ იყო შევქმენით პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ ჩვენი სახელმწიფო მართლა დაემსგავსებოდა სახელმწიფოს და არავის არ ეთქვა ჩვენთვის თქვენ ერთ ადგილას იდექითო.

ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სამართლის შექმნას გასაგებ ენაზე, მოვახდინეთ სასამართლოს სრული რეორგანიზაცია.

აი მოკლედ ის, რასაც ვაკეთებდით ამ 6 თვის განმავლობაში, რის უკანასკნელი სიტყვაც ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელიც იქნება საქართველოში ამ ახლო ხანში მოწვეული.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო აგრეთვე ერთ გარემოებას. ჩვენ აქ მოგვიხდა მუშაობა არა მარტო საქართველოს მაგიერ, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თვით რუსეთის მაგიერ ჩვენ მოგვიხდა მუშაობა რუსეთისათვის.

ჩვენი მტრები ავრცელებენ ხმებს, ეს იბეჭდება არა აქ, არამედ იქ სადაც მაინცა და მაინც ჩვენს ოჯახებზე არა იციან რა, რომ ჩვენ აღვმართეთ ერთნაირი დევნა რუსების, განსაკუთრებით რუსების ოფიცრების წინააღმდეგ. ეს საბუთი არის მთავარი საბუთი ჩვენი მტრების ხელში, ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ საქართველოდან დიდად ღირსეულად გავაცილეთ რუსეთი და მისი აქ მყოფი წარმომადგენლები.

აქ გვაქვს ციფრები, რომლის წინაშეც უნდა დადუმდნენ ყველა ორგულნი და ცილის მწამებელნი.

26 მაისიდან 20 ნოემბრამდის ჩვენ დავხარჯეთ რუსეთის მაგივრად შემდეგი თანხები: ჩვენ მოვახდინეთ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებული დაწესებულების ლიკვიდაცია. თბილისის ხაზინიდან ამისთვის გავიღეთ 21 მილიონი 22 ათასი მანეთი, საველე ხაზინიდან 9 მილიონი 791 ათასი, სენაკის ხაზინიდან გავიდა 1 მილიონი. ფოთის ხაზინიდან გავიდა 736 ათასი მან. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქიდან 512 ათასი მან. გარდა ამისა იმ მიმდინარე ანგარიშებიდან, რომელიც აქ ჰქონდათ წინანდელ ხაზინის წარმომადგენლებს, ამ მიმდინარე ანგარიშებიდან, გავიდა 1 მილიონი 436 ათასი მანეთი, რკინის გზიდან გავიდა 1 მილიონი 20 ათასი მ. სულ ამნაირად ჩვენ ამ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებულ სხვა და სხვა დაწესებულების ლიკვიდაციას მოვახმარეთ 26 მაისიდან 20 ნოემბრამდის 35 მილიონი 517 ათასი მანეთი. ამას გარდა, ჩვენ მივეცით ოჯახებს, სამხედრო 1 მილიონი 32 ათასი. ჩვენ მივეცით ძველი მთავრობის პენსიონერებს. 1 მილიონი 323 ათასი მანეთი.

ახლა ჩვენ გადავდივართ მეორე საქმეზე და უნდა ვთქვათ, რომ რაც ჩვენ აქ ვქენით არც ერთ კუთხეს რუსეთისას არ უქნია ასე.

თქვენ კარგად იცით აუარებელი ფული იყო დაგროვილი შემნახველ კასებში და ბანკებში. უნდა ვსთქვათ, რომ ეს სულ ყველა წაღებული იყო პეტროგრადში: იქ დაიხარჯა იმის საჭიროებისათვის.

აგრეთვე ბანკებში შენახული ფული იყო წაღებული მოიჯარადრეთათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან.

ეს ფულიც დაიხარჯა. და აი ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ ეს შემნახველი კასები, ეს ბანკები. ჩვენ ვიკისრეთ და მივეცით ამ შემნახველ კასებს 10 მილიონი მან. კერძო ბანკებს 28 მილიონი აგრეთვე ჩვენ მივეცით სახელდახელო [illegible] გასასწორებლად ბანკს და სახელმწიფო ხაზინას 23 მილ. ერთი სიტყვით რუსეთის მაგიერ დავხარჯეთ 6 თვეში 98 მილიონი 244 ათასი.

აი ბატონებო, ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ აქ ვინმე გავდევნეთ ვისმე ულიერად მოვექეცით და აქედან ჩვენი დამოუკიდებლობა ვიხმარეთ სხვის სამტროდ.

აი ბატონებო, ეს ციფრები აშკარად ღაღადებენ იმას, რომ ჩვენ თვითონ ღარიბმა ერმა და ასე ვსთქვათ მშიერ ხაზინამ მიუხედავად თვის სიღარიბისა 98 მილიონი მანეთი გაიღეთ სხვის საჭიროებისათვის.

და თუ მაინც ჩვენ ცილს გვწამებენ და თუ მაინც სწერენ და ამბობენ. რომ ჩვენ აქედან ვერეკებით, გავერეკეთ ძალით ვინმეო, — ამის მიზეზი სულ სხვაა. ეს გამომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდებლობისადმი მათ ალაპარაკებთ შოვინისტური და რეაქციონური სულისკვეთება. მაგრამ აქ ვიტყვით: ხელი შორს, აქ კი ნურას უკაცრავად! (ტაში. მხოლოდ აქ ჩვენ საქართველოში შევძელით შეგვექმნა ერთნაირი პოლიტიკური თანასწორობა თავისუფალი და წესიერი მართვა გამგეობა. მხოლოდ დაუძინებელ მტერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისას შეუძლიან გვითხრას აიღეთ ხელი და გადაეშვით შორს, იქ გამოუცნობ ქაოსში და იქ რაღაც რეაქციის მხარეში. ჩვენ ამას არ ვიზამთ და ჩვენ ამას ვერც ვიზამთ.

ჩვენ გვსურს უეჭველად ჩვენებური წესწყობილება იყოს, როგორც რუსეთში, ისე მოსაზღვრე მეზობელ ერებში. ჩვენ მოხარული ვიქნებით რუსეთის, ნამდვილ რუსეთის აღდგენისა. ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი მოძმე რესპუბლიკები და ერები იყვნენ უკეთ პირობებში და შექმნან ისეთი წესწყობილება რომელიც არის აქ ჩვენში. მერე ეს განა მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მოვკლათ? არა! დემოკრატიული წესწყობილება არსად არ მოითხოვს, რომ მეორე სახელმწიფოს დემოკრატია დაიჩაგროს, ვინც ასე ფიქრობენ ისინი არ არიან დემოკრატები. იმათ არაფერი არა აქვთ საერთო დემოკრატიასთან. ისინი, უეჭველია სხვა მიზნებით სხვა სურვილებით არიან გატაცებულნი. უნდა ვთქვათ რომ ჩვენ ამ სურვილების წინააღმდეგ მივიღებთ ყოველნაირ საშუალებას, რომ ეს სურვილები დარჩნენ მათში მხოლოდ და მხოლოდ სურვილებად. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. მხოლოდ მათგან ჩვენ მოვითხოვთ ერთ პირობას: როგორც ჩვენ ვცნობთ, მათ სახელმწიფოდ, ისე მათ სახელმწიფო ჩვენი უნდა იცნონ სახელმწიფოდ და უნდა გამართონ მოლაპარაკება ჩვენთან და ჩვენ მათთან, როგორც თანასწორმა თანასწორთან. რაც ჩვენ გვსურს ჩვენთვის ის გვსურს სხვებისთვის.

აი ამ მოკლე მცნებით არის გამსჭვალული ჩვენი საგარეო პოლიტიკა. ვერავის შეუძლიან და ვერც დაგვწამებს რომ ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამოძრავებდა რომელიმე დამოუკიდებელ რესპუბლიკის და ან რომელიმე ერის წინააღმდეგ.

მხოლოდ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში. საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, თუ ჩვენ შიგნით და გარეთ ამ ნიადაგზე მტკიცედ ვიქნებით.

გისურვებთ თქვენ და ჩვენ შეგვიძლიან უსურვოთ ჩვენს შთამომავლობას რომ 26 მაისის აქტი გადიქცეს მუდმივ დღესასწაულად.

ეს აქტი არის აქტი გამარჯვებისა საქართველოს დემოკრატიისა და მისი თავისუფლებისა! (მქუხარე ტაში).

# ქართლი

შენზე ვარ ჯვარცმული და შენდამი შეყვარებული გომბეშო ვარ. ჩემში აჰხორცობს შენი მრაზიანი მზის თქარათქური და შენს ალორთქილ სხეულში ყვითლად ჩაღვრილი მალარია.

მაცხვლებს შხამით აწყვარი შენი სივრცე და შენ ყვითელ თვალებს მივდევ გვედივით აწივლებულ ტრამალებში.

მზეში ნაზელი შენი უდაბნოები მიმზადებენ თეთრ საშიშროებას და ელდით გეხლიჩება საქანელნი ცისანი. ქამელეონით დაკბენილ შუადღეებიდან შენი ხელი გოგირდებს მაყრის—უცნობ მხედრობის შეციებულ რაინდს.

ჩემში ორთქლავენ: შენი პირსისხლი ვენახები, ლომისფერი ყანები, ბალღამით მხრჩოლავი უგზაური შენი მდინარენი; კაპას მაშხლებ ჩაშლილი, ცხელ სიშიშლეში თეთრად აჩალებული კალოები. ჩემში ილეწება მეფური დაშლით მოცვლილი შენი ქალაქები და შენი დიდების ჩარდახი მადგება თავს.

დაჭიწყვებული არაგვის წყლები გიდგამენ ტახტებს კეთროვან ჩრდილთა სიჩუმეში; შენ გახვალ წარსულ დღეთა ჯარითზე და არ იცი ვინ წაიღებს შენ სილამაზეს მკერდი შენი ვრცელია ცხელ რუშებში და ვინ ააწივლებს შენ ტუჩებს... ბედი შენი დააკრეს ქარის ფაფარს და სარაცინო უკიეის შენ სარეცელს...

იქნება შამქორი და იქნება ნუქარდინი...

ხალიფას დროშით აინთება შენი ქოხები შიშით მზირალნი საფირონივით.

შენი ნაზი ქუსლი ჩახველდება სისხლში და თვალწინ გაგიტარებენ დროშათ ჯვარცმულ მოურავს.

მინდვრებიდან მოვა მთვრალი სუნი და შრუში სუნთქვა შეგიწვავს სახეს.

მზის ურაგნებში დასისხლული მკერდი გაღაგეხსნება როგორც მწუხრის ღვთიშობლები საცეცხლურის გრილ სვეტებში.

საიდუმლო შენი იქნება სასტიკი და ტკივილი იქნება უღმერთო...

შენი დაღურსმული სული მაღრჩობს; შენს ეშაფოტის გზაზე ჩემი თვალები დაიხვვა; ყვითელი აყალო გაწვება სარკოფაგად და ულვთოდ გაიკვრები თეთრ ნამქერებზე. უმე გექნება ღია და თითები ასანთლებული.

მეურმის სილარიბით ვატარებ იღბალს და შენს დასრესილ აბრეშუმს; გვიან დაისების ოსანნა თვალი ჩემი მოკვდება შენზე.

გ. ლეონიძე.

## დღეიდან ჩვენი გაზეთის კანტორასთან არსდება

## „საქართველოს რედაქციის ფ ო ნ დ ი"

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას

# პარტიის წევრებისა და თანამგრძნობლების ვალდებულებაა ყოველმხრივ დახმარებით ხელი შეუწყოს გაზეთის დღეგრძელობას

თავმჯდომარე. ამით ვათავებთ, დღეს ჩვენს დღესასწაულს და კრებას ვხურავ. (ტაში ოვაციები).

## პარლამენტის წინ

თბილისის ქუჩებს დილიდანვე დიდი მოძრაობა დაეტყო. ქალაქების ყველა კუთხეებიდგან, ხალხმა სასახლისაკენ იწყო დენა და მრავლად მოგროვდა სასახლის მოედანზედ და სამხედრო ტაძრის გალავნის გარშემო, სადაც თბილისის ჯარების პარადი იყო განზრახული.

დილის 11 საათისათვის პარადზედ მობრძანდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, მინისტრებისა და გენერალ ღუბერნატორის მაზნიაშვილის და გენერალიტეტის თანხლებით.

პარადი, რომელსაც ქართულად ხელმძღვანელობდა გენერალი სუმბათაშვილი. ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ მიიღო და ჯარების ჩამოვლისას მიულოცა მათ ეროვნული დღესასწაული და მოუწოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგულ დარაჯად ყოფილიყვნენ.

„გაუმარჯოს ბატონ ჟორდანიას!“ იგრიალა ჯარმა. მუსიკამ ეროვნული ჰიმნი დაუკრა. არსენალიდან იგრიალეს ზარბაზნებმა და ჯარის ნაწილებმა გაშლილი დროშებით, ცერემენიალური მარშით გაიარეს მთავრობის თავმჯდომარის წინ და ყაზარმებისაკენ გაეშურენ.

პარადის დასრულების შემდეგ პარლამენტის წევრნი და მთავრობა სასახლისაკენ გაემართენ, ხოლო სასახლის პატარა მოედანზედ აუარებელი ხალხი მოგროვდა. 12 საათისთვის მოედანზედ მოვიდნენ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა დროშებით წარწერებით: „გაუმარჯოს საქართველოს“ და სახალხო გვარდია წითელი ბაირაღებით, რომელთა შორის სრულიად შეუფერებლად აშართულიყვნენ წითელი ბაირაღები რუსული წარწერით: გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიას, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას.

ხალხი მოუთმენლად მოელოდა პარლამენტის სხდომის გათავებას. სასახლის წინ გამზადებული იყო ესტრადა ორატორთათვის. 1½ საათზედ ხალხს სიტყვით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ, რომელმაც დაახლოვებით იგივე სიტყვა გაიმეორა, რომელიც პარლამენტში წარმოსთქვა. შემდეგ ილაპარაკეს ალ. ლომთათიძემ, წერეთელმა, მემედ ბეგ აბაშიძემ და ვალიკო ჯუღელმა (რუსულად) და მრავალმა სხვებმა.

მიტინგმა ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა.

საღამოთი ქალაქი განათებული იყო ფერადი სინათლით.

ქალაქის გამგეობის სახურავზედ ელექტრონით ფერადი შუშებით წარწერილი იყო:

„გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას.

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას.

ილიუმინაცია იყო სასახლესთანაც და სახალხო თეატრში.

## საქართველოს აისორები

საქართველოს მიწა-წყალზე მრავალი აისორი (ქალდეველი) ბინადრობს. მარტო თბილისში 10.000 სული ცხოვრობს. უმრავლესობა მათში მუშებია.

კალატოზები, დურგლები, მხატვრები, მეკრამიტე-მეაგურეები, ფარნების მკეთებელნი, მეთუნუქენი, მეცემენტენი, ხუროები, მხერხავნი, თითქმის ყველა ხელობის მუშაკნი.

ვაჭრებ[შ]ი შორის: მიკიტნები, „ხარშოვნიკები“, მეჩაიები, სხვა და სხვა ნივთების გამსყიდავნი, საფერადე წამლებით ვაჭარნი, ბოსტნეულობის მომყვანი და გამსყიდავნი და სხვა.

არიან მოიჯარადრენიც, რომელნიც იჯარით სხვა და სხვა მამულებს იღებენ, ვენახებს, ტყეებს, სახლების კეთებას, ხიდების, საყდრების, ჯარის კაცთა შენობათა და სხვანიც მრავალნი. ამათში არიან ისეთნიც, რომელთაც თვით მთავრობის ნაწილშიაც უკავია ადგილი და მრავლად იღებენ სხვა და სხვა სახელმწიფო შენობათა კეთებას, ანუ ფოდრატებს, იღებენ ბანკებიდან მამულების შეკეთება-კეთებას და სხვანი. უნდა ითქვას, რომ საფოსტო და შენობათა შენების ნაწილში ამათ თავი ისახელეს და ბევრ მათგანმა კარგი შეძლებაც შეიძინა, თბილისში. ხშირად და მრავლად ნახავთ მათ საკუთარ შენობებს, სამსართულიანებს, ყველა ამათ შესანიშნავად მორთულებს.

სპარსეთში ქალდეველნი დიდ სიღარიბეში არიან. თუმცა ესენი იქ მრავლად მუშაობენ, ერთავად შრომაში არიან, მაგრამ მაინც საერთოდ დიდს სიღატაკეს ითმენენ, თითქმის მთელი გვარი ამ ერისა განუსაზღვრელს გაჭირვებაშია, ყველა მათგანი დაგლეჯილ ტანთსაცმელში არიან გახვეულნი უქონლობის და დევნილობის წყალობით. წინეთ, ესენი ქალდიას ისე შეშინებულნი იყვნენ, რომ ვისმეს ახალი ტანთსაცმელი მოეპოვნა, სპარსთა შიშით ტანზედაც ვერ ჩაიცვამდენ. ისე იყვნენ შევიწროვებულნი და დაჩაგრულნი, რომ ამათზედ უარესობა აღარა შეიძლებოდა. ამათ დევნას მეტად დიდი ისტორია აქვს.

ამათ ასეთ გაჭირვებას ადრიდანვე მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ევროპიელთ და მათ დაუწყეს მფარველობა და პატრონობა. დაიწყეს მათში მგზავრობა და სხვა და სხვა სასწავლებლების და საქველმოქმედო სახლების კეთება და დაარსება, რაც ქალდეველთ ისე იზიდავდა და ისეთ მფარველობას უწევდა, რაისა გამო ისინი სჯულსაც კი სტოვებდნენ თავიანთსას და უხვად უერთდებოდნენ კათალიკოზს, პროტესტანტობას, მართლმადიდებელთ გრიგორიანთ და თვით ისლამსაც კი უერთდებოდენ სხვა და სხვათა დევნულება და ჩაგვრისაგან. ამიტომაც ძველადგანვე მრავლად იწყეს ამათ კლება და შემცირება.

ვინც გაიცნობს ქალდეველთა ცხოვრებას, ამას ამათზედ გული ძლიერ დასწყდება, რადგანაც მათში ნახავს დიდს სიღატაკეს, გაჭირვებას და სხვა ამგვართაც, რაც უფრო მათზედ გამოწვეულია სპარსეთის სახელმწიფო მთავრობის ცარცვა-გლეჯისაგან, თორემ თვით ეს ხალხი ისეთის თვისებისა და შრომის მოყვარენი არიან, რომ იგინი არას დროს გლახათ და საპყრათ არ ივლიან, არც სიღატაკეში იქნებიან საერთოდ ჩავარდნილნი, მიზეზი სახელმწიფო წესების უსამართლო საქმეებია და ის ძარცვა-გლეჯა და რბევა რითაც მთავრობა ძლიერია ქალდეველებზედ და შეუბრალებელი. ასეთია სურათი ქალდეველთა ცხოვრების სპარსეთის ხელში და ასე იტანჯებიან საბრალონი, რაც ხდება მის მიზეზად რომ იგინი იქიდამ ასე მრავლად სახლდებიან სხვადასხვა ქვეყნებში.

ასეთი გარემოება, სიღატაკე და შეწუხება მთავრობისაგან იმ სიდიადით არის, რომ იგინი სხვა და სხვა ქვეყნებში გადასულნი, თითქმის სამუდამოდ რჩებიან იქ და აღარ აპირებენ შინ დაბრუნებას და ასე და ამ გვარად ისპობა დიდი ასურისტანის და ნინევიის შუა მომავალთა რიცხვი თვის სამშობლოში, სამშობლოს მოსპობის და გადალახვის გარდა აისორები სხვა და სხვა ქვეყნებშიც ძრიელ ადვილად სტოვებენ თვის ენას, ზნე-ჩვეულებას და სხვა და სხვა ტომთა ხალხს უერთდებიან, რის ნიშნებიც სამწუხაროდ თვით ჩვენშიაც ხდება და იგინი ადვილად ჰკარგავენ საქართველოში ცხოვრებით თვის ვინაობას. სხვა ტომთა ქალების შერთვასაც მისდევენ და ეს გარემოებაც საკმარისად ჰვნებს და ამცირებს მათს რიცხვს და დედა ენას.

(შემდეგი იქნება).

ზ. ჭიჭინაძე.

## თეატრი და მუსიკა

**ქართული დრამა.**

სახელმწიფო თეატრში ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის სეზონი დაიწყო. შემდგარია მსახიობთაგან: აბაშიძე ტასო, ანდრონიკაშვილი ელო, ანკარა სოფიო, გოგოლაშვილი თამარ, დავითაშვილი ნინო, ლეჟავა ოლღა, მესხი ეფემია, სინაურიძე ოლღა, ქილარჯიშვილი მარგარიტა, ჩერქეზიშვილი ელისაბედ, ჩხეიძე ანნა, ჯავახიშვილი ნატალია, აბაშიძე ვასო, აბდუშელი, ბარველი ივ., გვარამძე ნიკ., გუგუშვილი ალ., დადიანი შალვა, იმხნელი გ., მატარაძე ვ., ქიქიძე იოს., სანდალა ალ., სარაული მ., ფრონისპირელი გ., ციციშვილი ნიკ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დრო-გამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ: ნინო ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ვალ. გუნია, ვ. გამყრელიძე, ბ. გედევანოვი, კ. ყიფიანი.

რეჟისურაში ბ-ნნი: ნ. შიუკაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ზალცმანი და შ. დადიანი.

რეპერტუარში შეტანილია პიესები: ტარიელ გოლუა, ლეო ქიაჩელისა, სინათლე, II ნაწ. ი. გედევანიშვილისა, ვარამი, შალვა დადიანისა, მურუსი, სიო ჭანტურიშვილისა, ბედის ტრიალი, ერისთავ-ხოშტარიასი, მწირი-სარდალი, დუტუ-მეგრელისა. ღალატი, სუმბათაშვილისა, სიმახინჯე, ნ. შიუკაშვილისა, მთის ზღაპარი, მისივე, უგვირგვინო მეფენი, ალ. შანშიაშვილისა, ვინ არის დამნაშავე, ნ. ნაკაშიძისა.

დასი შეუდგა მეცადინეობას და პირველი წარმოდგენა 6 ქრისტეშობისთვეს გაიმართება.

**სტუდია.**

ამ დღეებში ხალხში და ზოგიერთ გაზეთებში გავრცელდა ხმები, ვითომ ქ. დრ. საზ. სტუდია დაშლილიყოს. სტუდიის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს ამბები სიმართლეს მოკლებულია და სტუდია, უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

| თბილისიდან გადის | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |
| **თბილისში მოვა** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


## იყიდება სამოსახლო მიწა

ზომით 844 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ხაშურში (მიხაილოვში) სადგურის პირდაპირ მაღლობზედ, გამოსადეგია საავარაკოდაც. იკითხეთ სანაპირო ქუჩა (ნაბერეჟნი) ვერის ხიდთან სახლი № 2 სამღვდელო ლეგრანი 2—1

## საგაზეთო განცხადება

ქუთაისი. თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი სახელმძღვანელო წიგნები:

**გორგაძე ს.** კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა ფასი 6 მან.

**ზაალიშვილი მ.** (ტბილ. მეოთხე გიმნ. დირექტორი) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა არა ორგანიული ბუნება.

**მისივე.** ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.

**მისივე.** ორგანიული ბუნება ზოოლოგია.

**კუკშლესკო,** პროფ. ქიმიის სახელმძღვანელო, თარგ. ფ. ზეთაძელისა 7 მანეთი.

**კელენჯერიძე მ.** დეკ. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის ისტორიის მოკლე ისტორია 4 მან.

**ნიკოლაძე ევ.** საქართველოს ეკლესიის ისტორია 5 მან.

**ცქიტიშვილი პლ.** მღ. ლოცვანი პირველდაწყებითი შკოლებისთვის 1 მან. და 20 კაპ.

**უზნაძე დ.** მსოფლიო ისტორიის სახელმძღ. ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, მეორე გამოცემა 2 მან. 90 კაპ.

**ყიფიანი ვ.** დაწყებითი ალგებრა მესამე და მეოთხე კლასის კურსი 4 მ.

**ჭიჭინაძე ალ.** პირველდაწყებით ცოდნა გეოგრაფიისა. მესამე გამოცემა 3 მანეთი.

**ზაალიშვილი მ.** ბუნების მეტყველების სახელმძღვანელო ბოტანიკა.

**ფურაძე ი.** საქართველოს ისტორია 8 მან.

**ი ბ ე ჭ დ ე ბ ა**

**პროფ. ჯავახიშვილი ი.** ქართული სამართლის ისტორია.

**სარ. გორგაძე.** ჩვენი ახალი მწერლობა კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია, მეორე გამოცემა. 1—1917—1

## განცხადება

### ბორჯომის ეროვნული ქონების გამგეობა

აცხადებს, რომ მინის ქარხნის საწყობში არის

### შუშის სხვა და სხვა ჯურის ჭურჭელი

სახელდობრ: შამპანიურის ბოთლი 1/16 16.000

ბორდო „ 1/17 2.000

კვარტიანი „ 1/10 12.000

ჩეტვრიანი „ 7.000

ფეხსაცმელის კრემის ბანკები 30.000

ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ ბორჯომის ქონების გამგეობას ბორჯომში. (1—1)

## განცხადება

### ბორჯომის ეროვნული ქონების ადმინისტრაცია

აცხადებს, რომ ტყის სახერხავ საწყობში გასასყიდი არის ყუთების დასამზადებელი მასალა, რომელიც გამზადებული იყო ბორჯომის მინერალური წყლების ჩასაწყობ ყუთებისთვის რიცხვით 50 ბოთლისა. (ფიცრის სივრცე 1,04 კუბ. ფუტია, ზომა: 16×16×34½. გვერდის ფიცარს სისქე აქვს ½, სახურავს ¾).

ეხლავე შეიძლება გაიცეს 50,000 ყუთის კომპლექტი.

### ფასები ზომიერია

ცნობებისათვის უნდა მიჰმართონ: ბორჯომში, ბორჯომის მამულების გამგეობას. 1—1

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

### „საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

**პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში.**

28 გიორგობისთვიდან განახლებულია—საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით ევროპიული და აზიური სამზარეულოთი ◊◊ კეთდება საუკეთესო მასალით ყოველგვარი საჭმელები ◊◊ განსაკუთრებით „საცივი ჩახოხბილი ხარჩო და ლომი.

ფასები წინანდელზე შედარებით დაკლებულია. საუზმე დილის 10—12 საათამდის, სადილი 1—5 ს., ვახშამი ღამის 11 ს., სადილ-ვახშმის დროს

**დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და თარი.**

(5—1894—3)

## კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილის. 606—914 [illegible]ლის) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საზებრო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ხ. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

**ქალ. ქუთაისში**

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

### ქირ. და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—14

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

### ალექსანდრე დავითის ძის ბებელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

### სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. [illegible] და დ. მ. [illegible]

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის. 3 ს-დე. ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

**ე ქ ი მ ი**

### კ. ცარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზერაქენის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19. (თ.—1918).

**ე ქ ი მ ი**

### ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

**მედიცინის დოქტორი**

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

### გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გ ა ი ხ ს ნ ა**

### თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხონისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციონი მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

**ე ქ ი მ ი**

### მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

[illegible]

### კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**ა ხ ლ ა დ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი ს ტ ა მ ბ ა**

### ხელოვნება

(ველიამინოვის ქუჩა № 20)

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

**დაიბეჭდა და იყიდება გიორგი მამრაძის წიგნი:**

### „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება“

I „ქართლის ბედის“ უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.

ფასი 3 მანეთი და 50 კაპეიკი. 5—5

**იბეჭდება და მალე გამოვა**

### ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი

### „მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“

**იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა**

### ალ. ასათიანის ნაწერი

### მიწის საკითხი საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—10)


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.